1939

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქტომბრელი

1939 წ

№ 11

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეეთოდით!

ოქტომბერელი

№ 11
ნოემბერი
1939 წ.
გამომცემლობა „კომუნისტი“
რედაქ. მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ., №34
ტელ. № 3-02-61

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას და საქ. განსახკომის ერთთვიური ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

		გვ.
1.	ილია სიხარულიძე,—ჩვენ არ გვინდა სხვისი მიწა (ლექსი)	1
2.	გაბრიელ ჯაბუშანური,—საოქტომბრო პარადი (ლექსი)	2
3.	ლადო გალიაური,—გიგი (მოთხრობა)	3
4.	დ. თურდოსპირელი,—რას ერჩიან ამ ცუგრუმელას (მოთხრობა)	7
5.	სანდრო ჟლენტი,—რთველი (ლექსი)	8
6.	გიორგი კაჭახიძე,—გაცილება (ლექსი)	9
7.	ვერა შუგლაძე,—რკინისგზის საბავშვო ბაღი (ლექსი)	9
8.	ირაკლი აბაშიძე,—ჩვენებური მწერები (ლექსი)	10
9.	თამარ გურული,—ქალბატონი ნელი (მოთხრობა)	11
10.	ლიდია მეგრელიძე,—ციცო პირველად ხედავს ზღვას (ლექსი)	14
11	ალ. სულავა,—აკაკი და ბავშვები (წერილი)	15
12.	თედო ჟორდანია,—ჯალათი (მოთხრობა)	16
	ბავშვთა შემოქმედება	
13.	რეზო თაბუკაშვილი,—მიტოს მამა ჯარში მიდის (ლექსი)	გარეკანის მე-4 გვ
14	მერი გრეგაძე,—25 ოქტომბერი (ლექსი)	გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალის გაფორმება და გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ ი. ქოქიაშვილს

პასუხისმგებელი რედაქტორი: ლ. ჭიჭინაძე პასუხისმგებელი მდივანი: თ. შანშიაშვილი

გადაეცა წარმოებას 26/X 39 წ. ქაღალდის ზომა 60×92
ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/XI—39 წ. ფორმათა რაოდენობა 20-გვ. $9^1/_2 \times 14$

მთავლიტის რწმუნებული № 3073 ტირ. 20.850 შეკვ. № 1257 პოლიგრაფკომბინატი სტამბა „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28

ილია სიხარულიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ არ გვინდა სხვისი მიწა-

(საოქტომბრო სიმღერა)

ჩვენ არ გვინდა სხვისი მიწა,
მაგრამ ჩვენსას მედგრად ვიცავთ,
ჩვენს მიწა-წყალს ვიცავთ მტკიცედ,
არცერთ მტკაველს მტერს არ მივცემთ!

და უშიშრად ქუხს ქარხანა,
უხვ მოსავალს გვაძლევს ყანა,
ბალ-ვენახი ჩვენისთანა
სხვაგან არის სადმე განა?

მაშ იხარონ მშრომელებმა,
მათმა მკლავმა და ხელებმა!
ვქმნით სიმდიდრეს, შრომის დოვლათს,
ვიცით დაცვა, ვიცით მოვლა!

იმას რა სჯობს,
რომ სდარაჯობ
შენი ქვეყნის სადარაჯოს;
იმას რა სჯობს,
სამშობლოსთვის
თვით სიცოცხლე
რომ დახარჯო!

ჩვენ არ გვინდა სხვისი მიწა,
მაგრამ ჩვენსას მედგრად ვიცავთ,
ჩვენს მიწა-წყალს ვიცავთ მტკიცედ,
არც ერთ მტკაველს მტერს არ მივცემთ!
თავს არ ვესხმით არავის!
ძალლსავით შემპარავი
მტრები ირგვლივ გვზვერავენ;
ვერ დაგვჩაგრავს ვერავინ:
საზღვრები გვაქვს მაგარი,
საზღვრები გვაქვს მაღალი
და ხასანის მაგალითს
მტერს ყოველთვის ვუჩვენებთ;
დაგვჭირდება თუ ჩვენ ეს!
ჩვენ არ გვინდა სხვისი მიწა,

მაგრამ ჩვენსას მედგრად ვიცავთ,
ჩვენს მიწა-წყალს ვიცავთ მტკიცედ,
არც ერთ მტკაველს მტერს არ მივცემთ!!
იმას რა სჯობს,
რომ სდარაჯობ
შენი ქვეყნის სადარაჯოს!
იმას რა სჯობს,
სამშობლოსთვის
თვით სიცოცხლე
რომ დახარჯო!

გვიყვარს ჩვენი საბჭოეთი,
გვიყვარს ჩვენი მიწა-წყალი,
გვიყვარს ისე, ვით ვუყვარვართ
დიდ ბელადს და მამას სტალინს!

სტალინი ჩვენი მამაა,
სტალინი—ხალხთა სარდალი,
მტკიცე, სალი კლდის სადარი,
იცის, მტერი თუ სად არი,
მტერი ვერაგი, საზარი;
გვასწავლის ბრძოლის სიფხიზლეს
და მტერი როგორ გაგვიძლებს!

ჩვენ არ გვინდა სხვისი მიწა,
მაგრამ ჩვენსას მედგრად ვიცავთ!
ჩვენს მიწა-წყალს ვიცავთ მტკიცედ,
არც ერთ მტკაველს მტერს არ მივცემთ!

გაბრიელ ჯაბუშანური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბერი დროშებსა შლის,
გარეთ ხალხი გულით ხარობს,
მე დამტოვეს მარტო სახლში:
გაცივდები, ავად ხარო...

მაშ ტახტიდან ალარ ავდგე,—
ვიწვე ასე... სარკმლის პირთან!
ოჰ, ეს ყელი რალა ამ დღეს
ამტკივდა და ამიხირდა!

იქნებ ფიქრობთ ვივიშვიშებ,
ვიზლუქუნებ ვით პატარა?
თუ ქუჩაში არ გამიშვეს,
მე გავმართავ თვით აქ პარადს!

ბედი მწყალობს, მუთაქაზე
ბებიასაც მიეძინა;
დაბლა გავშლი სუფთა გაზეთს,
გამოვაღებ ამ განჯინას.

უჰ, რა კარგი ჭიქებია,
ძირს ქაღალდზე დავდგამ ხელად:
დღეს ისინი იქნებიან
არმიელნი სასახელო!

რა ვქნა, ამათ გარეგნობას
თუმცა ეთქმის სამდურავი,
მაგრამ ლუკმად არ ეყოფა
თითოს ათი სამურაი.

აი შეხეთ ჩემს ჯარს ნაკრებს,—
მებრძოლები გემცნაურათ?
ახლა, მოდი, ეს საშაქრე
მოვუყენო მეთაურად!

გარს მოვუწყობ ჯარს მუთაქებს,
მტერი ველარ შეეხება,
ვინლა იტყვის, გმირებს ნაქებს
არ გაგვაჩნდეს ქვემეხები!

მაგრამ დახეთ ჩემს ბებიკოს,
როდის გახდა გამბედავი!
ვითომ დიდი გმირი იყოს,
ერთ ქვემეხზე უდევს თავი!

ფრთხილად, ბები! ეგ თამაში
ამჟამად კი გეპატიოს...
რომ იქუხოს, რა ვქნა მაშინ
ხომ დავრჩები უბებიოდ?!

ეჰ, დრო არ მაქვს... მთა და ბარად
მესმის ხალხის შვება-ლხენა...
საოქტომბროს ვიღებ პარადს,
მებრძოლებო, აბა, სმენა!

ლადო გაღიაური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიგი

იგი მორბოდა, შეუჩერებლად მორბოდა, არაფერს ერიდებოდა, ხტებოდა ქვიდან ქვაზე, ბექობზე, რუებზე; ქუდი მოსძრობოდა, შავი თმა აშლოდა, დახეული ჩოხის კალთები ქარს გაეშალა, ქამარი დაჰკარგოდა, სახეზე ოფლის ნამი ედებოდა, მაგრამ მაინც მორბოდა. უფრო მოუჩქარა სირბილს, როდესაც თეთრი შენობა დაინახა, პირდაპირ იქითკენ გაიქცა, თანაც უკან-უკან იხედებოდა, შედგა მხოლოდ მაშინ, როდესაც სკოლის თეთრი შენობის ეზოში ბავშვებს მოჰკრა თვალი, შედგა წუთით, სწრაფად მიიხედა და ისევ გაიქცა...

შენობის წინ ეზოში გამოშლილი ბავშვები გაოცებით მიაშტერდნენ, ერთმა მათგანმა მეზობელი გიგი იცნო, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, რისთვის მორბოდა ასე სწრაფად.

ეზოში შემოვარდნილმა გიგიმ არეული ხმით წამოიძახა:

— მიშველეთ, მიშველეთ, მომდევს!

ბავშვები უფრო გაოცდნენ, სათამაშოებს თავი მიანებეს და ყველა გიგის შემოეხვია. ხმაურზე მასწავლებელი გამოვიდა სკოლიდან. დაინახა თუ არა მტირალი გიგი, მაშინვე იმასთან მივიდა.

— ბიჭო, რა დაგემართა?! — იკითხა მასწავლებელმა.

— მიშველეთ, მიშველეთ! — იძახოდა გიგი, თან შემკრთალი აქეთ-იქით იყურებოდა.

— გაგვაგებინე, რაშია საქმე? — მშვიდი ხმით უთხრა მასწავლებელმა და უფრო მიუახლოვდა. ამ დროს მათ თვალი მოჰკრეს გზაზე მომავალ ხევსურს, რომელიც სწრაფი ნაბიჯით პირდაპირ სკოლისაკენ მოდიოდა.

— ის არის, ის მომდევს! — წამოიძახა გიგიმ და კვლავ გასაქცევად მოემზადა. მასწავლებელი ახლა მიხვდა გიგის შეშინების მიზეზს, ხელი მოხვია მას, დაამშვიდა. ხევსურმა კი უფრო მოუმატა ნაბიჯს, მიიჭრა ბავშვებთან, ყველა ხელის წაკვრით ჩამოიშორა გზიდან, გაბრაზებულს გიგასთან ახლოს მისვლა სურდა. მასწავლებელმა იცნო ხევსური.

— რამ გაგაბრაზა, მგელიავ? — მიმართა მან დამშვიდებით.

— ეს ბავშვი ჩემია! — მიუგო გაბრაზებულმა მგელიამ.

— ვიცი. დამშვიდდი, რა დაგემართა! აწყნარებდა მასწავლებელი.

— ჩემია, ხომ გესმის! — ყვიროდა მგელია და გიგის ხელში ჩაგდებას ცდილობდა.

— დაწყნარდი, თორემ ახლავე მილიციას დავუძახებ, — მერე ერთ ბავშვს უთხრა: — წადი დირექტორს სთხოვე გამოვიდეს.

ბავშვი სწრაფად შევარდა სკოლაში, ხოლო დანარჩენი ბავშვები გიგის შემოეხვივნენ. ერთმა მათგანმა ხელში ჩაავლო ხელი და სკოლისაკენ გააპარეს. ამ დროს დირექტორი მივიდა ხევსურთან.

— გამარჯობა, მგელიავ! უთხრა დირექტორმა მშვიდად. მგელიას პასუხი არ გაუცია: აქეთ-იქით იხედებოდა, გიგის ეძახდა. იქ რომ ვერ დაინახა, უფრო აყვირდა:

— სად წაიყვანეთ გიგი? — დაიძახა მან და ხანჯალზე წაივლო ხელი.

— დამშვიდდი, მგელიავ, გავიგოთ, რაშია საქმე, დაისვენე და სულ ცოტახნის შემდეგ გიგისთან ერთად წახვალ შინ, მეტი რა გინდა?! — უთხრა დირექტორმა, ოდნავ ჩასუქებულმა, მშვიდი სახის მამაკაცმა.

— არაფერი, ყმაწვილი მინდა! — იძახდა მგელია.

— ჰოდა დაბრძანდი, მე ბავშვს ვნახავ, გამოვკითხავ ამბავს და ახლავე, შენთან ერთად წამოვა შინ.

მგელიასაც მეტი არაფერი უნდოდა, ნელნელა დამშვიდდა, ჩამოჯდა იქვე მდგომი ხის ქვეშ, ყალიონი გააბოლა, თანაც სკოლის შენობას უბღვერდა გიგისაგან გაბრაზებული.

ზარის ხმა გაისმა. სამასწავლებლოში მარტო გიგი და სკოლის დირექტორი დარჩნენ. გიგი მორცხვად იჯდა თავდახრილი, მხოლოდ ერთხელ შეხედა დირექტორს ისეთნაირად, თითქოს რაღაცის თქმა სურსო. მაგრამ ხმის ამოღება ვერ გაბედა. კარგახანს ისხდნენ ჩუმად.

ბოლოს დირექტორმა გაუღიმა და მშვიდი ხმით უთხრა:

— მაშ ეგრე... ძალიან ირბინე, ჰა?

გიგის ხმა არ ამოუღია.

— რა უნდა შენგან მაგ კაცს? — შეეკითხა ისევ დირექტორი და უფრო ახლოს დაუჯდა.

— რა ვიცი რა უნდა.

— მაინც... გამოეპარე, განა?

— ჰო, გამოვიქეცი...

— სწავლისათვის?

— ჰო!

— მეტი არაფერი დაგიშავებია?

— ცოტა...

დირექტორს გაეცინა.

— რა დააშავე, მითხარი ჩქარა, თორემ ის კაცი ისევ აყვირდება.

გიგიმ აღარ დააყოვნა და თავისი გაჭირვების ამბავი უამბო: გიგის მამა ადრევე გადაეცვალა. როდესაც გიგის დედა მგელიას გაჰყვა ცოლად, გიგიც თან წაიყვანა. ერთხანს გიგის კარგად ექცეოდნენ, ხოლო როდესაც ექვსი წლისა გახდა, მოსვენება არა ჰქონდა: წყალი მიჰქონდა, ხბოებსა და ბატკნებს მწყემსავდა, მუდამ ფეხზე იდგა, მუდამ გარბოდა და გამორბოდა... თვითონ მგელია ხშირად თვრებოდა, ჩხუბობდა ოჯახში, სცემდა მეუღლეს, გიგის და ყველას... ყველას... გიგის ერთხანს სასწავლებელში წასვლა სურდა, მაგრამ არ გაუშვეს, ამის შემდეგ იმედი დაეკარგა, ხშირად ბრაზობდა, მგელიას დედის ცემას უკ-

რძალავდა... გარდა ჩხუბისა და ლოთობისა, ერთი ცუდი ხასიათიც ჰქონდა მგელიას: მეზობლების ცხვარ-ძროხას იპარავდა და ჩუმად კლავდა ხორცის გულისათვის... სამი დღის წინათ მოხდა ერთი ამბავი: ბინდის დროს გიგიმ დაინახა ერთი ხევსური, ფარ-ხმალი გადაეკიდა, თოფი ხელში ეკავა და იდუმალ მიიპარებოდა მათი სახლისაკენ. კართან მგელია შეხვდა, გაეხარდა მისი ნახვა, მაშინვე შინ შეიპატიჟა. სტუმარს ეტყობოდა, რომ რალაცა საიდუმლო საქმეზე იყო მოსული. გიგის გულმა ალარ გაუძლო, მიიპარა კართან და ყური დაუგდო იმათ საუბარს. ჩუმად ლაპარაკობდნენ:

— ძალიან. . ძალიან... — შემოესმა გიგის მგელიას ხმა.

— ერთის მეტი დეკეული არა ჰყავს? — იკითხა მოსულმა ხევსურმა.

— ერთი ჰყავს, მაგრამ ისეთი მსუქანი, ისეთი მსუქანი, რომ... თანაც უშობელია...

— რა ფერისაა?

— ჭრელია...

— ოჯახში მამაკაცი არა ჰყავს?

— არა.

— მაშ მოვდივარ, ეხლავე დაემზადე..

გიგი ჩაფიქრდა, სიბრაზით სახე წამოუწითლდა, მიხვდა, ვიზედაც ლაპარაკობდნენ: იმათ სოფელში ცხოვრობდა ხბოების მწყემსი ნანა, დედის მეტი არავინა ჰყავდა, თავს ძლივს ირჩენდნენ. ნანა გიგის კარგი მეგობარი იყო, წასულ ზაფხულში ერთად აძოვებდნენ ხბოებს.

— როგორ დალონდება ნანა, როდესაც მასკვლიას დაკარგვას გაიგებს! — გაიფიქრა გიგიმ და გადაწყვიტა გადაერჩინა მასკვლია, მხოლოდ ისე კი, რომ მგელიას არაფერი გაეგო გიგის მოქმედების შესახებ. უპირველეს ყოვლისა გიგი შეეცადა დამშვიდებული ყოფილიყო და მაშინვე ლოგინში ჩაწვა, რომ მგელიას ეჭვი არ აეღო. არ გასულა დიდი ხანი, რომ მგელია შინ შემოვიდა, ჯალაბნი მიათვალ-მოათვალიერა, გიგის გამოელაპარაკა, მაგრამ მან ხმა არ გასცა, უფრო ხმამაღლა განაგრძო ხვრინვა. მგელიამ ერთხანს დააყურა, შემდეგ ფეხაკრეფით გავიდა გარეთ და ღამის სიბნელეში გაქრა სტუმართან ერთად...

მიწყდა თუ არა ფეხის ხმა, გიგიმ შინვე წამოხტა საწოლიდან, გადაიცვა ჩოხა და რაც კი შეეძლო სწრაფად გაიჭრა შარაზე ნანას სახლისაკენ. უფრო შორი გზა შემოიარა, რადგან გიგიმ იცოდა, რომ მგელია მოკლე გზით წაიყვანდა სტუმარს. გიგი გარბოდა სწრაფად, მაგრამ მოფიქრებული არა ჰქონდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა. გაჩნდა თუ არა ნანას ეზოში, აზრად მოუვიდა დაეძახა ნანასათვის, მაგრამ ვაი თუ მგელია იქვე სადმე ყოფილიყო ამოფარებული და გაეგონა გიგის ხმა. მაშ როგორ უნდა მოქცეულიყო? ეზოში მდგომ ხეს ამოეფარა იქვე, მის მახლობლად იწვა მასკვლია. იგი ოდნავ შეკრთა გიგის მოახლოებაზე, მაგრამ მაინც არ ამდგარა, ცოტახნის შემდეგ მშვიდად ამოიქშინა და ცოხნა განაგრძო. როგორც ეტყობოდა, ქურდები ჯერ არ მოსულიყვნენ. გიგიმ გადაწყვიტა მოეთმინა იმ დრომდე, სანამ მასკვლიას არ აუშვებდნენ, შემდეგ კი ემოქმედა, მაგრამ როგორ?

ამ დროს ლობეზე ფიჩხი გატყდა, შემკრთალი გიგი სიბნელეს მიაშტერდა. ორი ლანდი უახლოვდებოდა მას. „უეჭველად ქურდები არიან“ — გაიფიქრა გიგიმ, უნდოდა ეყვირა, მთელი ხალხისათვის გაეგებინებინა მათი მოსვლა, მაგრამ მგელია ხომ იცნობდა გიგის ხმას, ცოცხალს არ გაუშვებდა გიგის... აი, მიუახლოვდა კიდეც ერთი ქურდთაგანი მასკვლიას და სწორედ იმ დროს გიგიმ ისეთი დაიკივლა, რომ მთელ სოფელს ზარი შესდვა: მყეფრები აყეფდნენ, ვიღაცამ დაუსტვინა, გიგი კიოდა, კიოდა განუწყვეტლივ და თანაც ცდილობდა ხმა როგორმე გამოეცვალა... ქურდები აქეთ იქით მიაწყდნენ, წუთის შემდეგ ლობეზე გადახტნენ და გაიქცნენ. მასკვლიამ აშვებულად იგრძნო თავი, ბოსლისკენ წავიდა. სწორედ ამ დროს ნანა გამოვიდა გარეთ. მასკვლია რომ აშვებული დაინახა, გაოცდა, სანათი გამოარბენინა, ნახა, რომ მასკვლიას საბმელი თოკი დანით იყო გადაჭრილი.

შეკრთა, შიშით თავზარი დაეცა, დიდხანს იდგა ერთ ადგილას... „ვინ უნდა ყოფილიყო? ან ვინ დაიკივლა?“ გარშემო ჩამიჩუმი აღარ ისმოდა. მოშორებით ხის ქვეშ ატუზული გიგი ადევნებდა თვალყურს ნანას, თან ეშინოდა არ დამინახოსო, ხოლო როდესაც ნანამ მასკვლია შინ შეიყვანა, გიგი სწრაფად გადახტა ლობეზე და რაც კი შეეძლო გაიქცა შინისკენ: მგელიასთვის უნდა მიესწრო. ასეც მოხდა: მგელია რომ შინ დაბრუნდა, გიგი ლოგინში იწვა და საბნის ქვეშიდან ცალი თვალით უჭვრეტდა მგელიას...

მეორე დღემ ჩვეულებრივად გაიარა, ხოლო საღამოს სოფელს ხმაური მოედო; ნანა კიოდა, ჭყიოდა, თმაგაშლილი დარბოდა სოფელში: მასკვლია ვიღაცას მოეპარა. თავად მგელიაც მივიდა მასთან, ამშვიდებდა, ეხმარებოდა ძებნაში. გიგი კი დიდხანს არ გამოსულა გარეთ, ნანა ეცოდებოდა, თანაც იცოდა, რომ მგელია იყო ქურდობის მონაწილე. საჭირო იყო რაიმეს მოფიქრება. უპირველეს ყოვლისა, გიგის სურდა გაეგო სად ჰყავდათ მასკვლია, ცოცხალი იყო იგი თუ დაკლული...

გიგიმ გადაწყვიტა თვალყური ედევნებინა მგელიასათვის. მან იცოდა, რომ ამ საღამოსვე მგელია იქ გაჩნდებოდა, სადაც მასკვლია ჰყავდათ დამალული. ასეც მოხდა: ვახშმობის დროს დაბრუნდა მგელია შინ, ივახშმა, მოუთმენლობა ემჩნეოდა. ცოტას ლაპარაკობდა, ნანას ნანობდა, შემდეგ მოიმიზეზა—ვაი თუ ქურდები ჩვენ კარმიდამოსაც ესტუმრონო და გარეთ დაწოლა მოინდომა, ბანზე გაიშალა ლოგინი. გიგი მიუხვდა ეშმაკობას, თვალს არ აშორებდა: სარკმლიდან უთვალთვალებდა.

მგელია ერთხანს იწვა, ყალიონს აბოლებდა, შემდეგ ადგა, ტანისამოსი ჩაიცვა და ფრთხილის ნაბიჯით გადავიდა ბანიდან. გიგი აედევნა და შორიდან ადევნებდა თვალს, მთვარის სინათლე შველოდა. მოწმენდილ ცაზე დილის მთვარე ამოდიოდა. მგელიას ვიღაც კაცი შეუერთდა. ისინი სოფელს გასცდნენ და ხევის გაღმა მხარეს ხშირ ტყეში შევიდნენ. გიგის მეტი აღარ უვლია: მიხვდა, რომ დეკეული იქ უნდა ჰყოლოდათ და დილამდე ვერაფერს გააკეთებდნენ. იცადა მაღალ ხეზე და გათენებას დაელოდა. გათენების დროს მგელია ამხანაგთან ერთად დაბრუნდა შინ. გიგი რომ იქ არ დაუხვდა, ჩაფიქრდა:

— იქნებ მიმიხვდა ის წყეული?—გაბრაზებით უთხრა ამხანაგს.

— რას გახდება! ნუ გეშინიან, — დააიმედა ამხანაგმა.

ამ დროს გიგი ხიდან ჩამოდიოდა. აჩქარებულმა ხშირ ტყეში მოძებნა მასკვლიას კვალი და მიჰყვა მას. შორიდან შემოესმა მასკვლიას საცოდავი ზმუილი. ხეზე მიებათ ქურდებს. სწრაფად მიიჭრა გიგი მასთან, აუშვა, გამოიდენა წინ და შინისკენ გაუდგა გზას.

მგელია და მისი ამხანაგი კარგახან ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეენახათ ხორცი, სად დაეკლათ მასკვლია, ბოლოს ცულის გალესვაც მოინდომეს. მგე-

ლია გამოვიდა ეზოში ცულის მოსაძებნად და კარებში შედგა გაოცებული: მან შარაზე დაინახა გაქცეული ბავშვები. ყველაზე სწრაფად ნანა გარბოდა. უფრო მოშორებით გიგის მოჰკრა თვალი: იგი ამაყად მიდიოდა, მასკვლია მიჰყავდა და ოდნავ იღიმებოდა. გაბრაზებული მგელია შინ შევარდა, ამხანაგს უამბო ნახული და გადაწყვიტა სამაგიერო გადაეხადა გიგისათვის...

გიგიმ პატრონს ჩააბარა მასკვლია.

ტყეში ვიპოვეო, უთხრა ამაყად, დაღლილი დაბრუნდა შინ და კარებში დაუხვდა გაბრაზებული მგელია.

— სად იყავი? — დაუყვირა მან და ხელში ნაჭერი ჯოხი მოიმარჯვა.

გიგი მიხვდა, რომ ცუდად იყო საქმე.

— ქურდო! — მიაძახა მგელიას, სწრაფად შემოტრიალდა და აი... ირბინა, რამდენი ირბინა... უკან მოსდევდა გაბრაზებული მგელია და ვერ დაეწია...

— ყოჩაღ! — უთხრა დირექტორმა და ჩაფიქრდა. კარგახანს ხმა არ ამოუღია არც ერთს. ბოლოს დირექტორი ადგა, ტელეფონით ვიღაცას ელაპარაკა; არ გასულა ათი წუთი, რომ მგელიას ლანძღვა-გინება გაისმა. გიგიმ სკოლის ფანჯრიდან გაიხედა. მგელია მილიციელთ ედგა შუაში და სადღაც მიჰყავდათ.

— ხედავ? — უთხრა დირექტორმა.

— ვხედავ! — ჩაიცინა გიგიმ.

— შენ კი... ინტერნატში იცხოვრებ. ხომ გინდა სწავლა?

— რა თქმა უნდა!

— ჰოდა ამ დღეის შემდეგ მოწაფედ ირიცხები...

გიგის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ ერთი რამ ენატრებოდა მაინც: რა კარგი იქნებოდა, ნანაც რომ ისწავლიდესო, — ფიქრობდა იგი.

დ. თურდოსპირელი

რას ერჩიან ამ სუზრუმელას?

დალი დანაღვლიანებულია.

რა ამბავია, რა ხდება მის თავს? ყველაფერს უშლიან, ყველანი არიგებენ: ბებია, დედა, ძია, მასწავლებელი და კიდევ ვინ იცის ვინ არა. „ამას ნუ გააკეთებ, ის არ შეიძლება, იმას ხელი არ ახლო, იქ ნაბიჯი არ გადადგა, იმას ნუ ელლაბუცები. ბევრს დარბიხარ, მეტისმეტად ხმაურობ“.

დალის მახლობლები იქამდისაც კი მივიდნენ, რომ დაუწყეს მოტყუება, გაზეთს რომ გახსნიან, სხვა ამბავთა შორის ამასაც კითხულობენ:

„გუშინ ვარდისუბნის ქუჩაზე მცხოვრები დალი ჩ—ე ეზოდან გაეპარა მშობლებს, გუბეებში ჭყაპაჭყუპით ფეხები დაისველა და გაცივდა... დედას უნდოდა ძალიან გასჯავრებოდა, მაგრამ დალი დაჰპირდა გამოსწორებას. ვნახოთ, შეასრულებს თუ არა თავის დაპირებას!“

დალის პირველად ეგონა, რომ გაზეთში მართლა იყო მისი ონავრობა აღწერილი, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ატყუებდნენ, და ეწყინა. ისეთი უსუსური როგორა ჰგონიათ, რომ ამისთანა მოგონილი ამბებით უმასპინძლდებიან. თქვენ ეგ რად გიკვირთ! დალის ბანაობაც აუკრძალეს. მართალია, ამ აკრძალვას დროებითი ხასიათი აქვს, ხველება რომ გაუვლის, მაშინ ნებას მისცემენ, მაგრამ მანამდის რა მოაცდევინებს?

უკვირს, თევზები რომ მუდამ წყალ-

ში არიან, იმათ არც აციებთ, არც სურდო უჩნდებათ, არც რევმატიზმები, მაშ დალის რატომ-და დაემართება ეს ოხერი ავადმყოფობანი? მერე როგორ უყვარს ზღვაში ყვინთვა და მის გიჟმაჟ ზვირთებთან თამაში.

მიმჯდარა დალი კუთხეში და მისცემია სევდიან ფიქრს:

— როგორ ხარ, დალი? — ვეკითხები ალერსიანად.

— ცუდად.

— რადა, გოგონა, ხომ არა გტკივა რა?

— არაფერი მტკივა, მაგრამ...

— იქნება გაკვეთილები არ იცოდი და მასწავლებელმა ცუდი ნიშანი დაგიწერა?

— მე ყოველთვის ვიცი გაკვეთილი. სიზარმაცე ცუდ ნიშანს როგორ მიიღებს!

— მაშ, რას მოგიწყენია?

— ყველას უნდა, სწორედ ისე მეჭიროს თავი, როგორც მათ. ისე ვიმოქმედო, როგორც ისინი იქცევიან. აღარ ვიცი, რომელს მივბაძო.

— სულ ეგ არის შენი დარდი?

— ისიც მაწუხებს, რომ სირბილს, ცელქობას ვერ გადავეჩვიე, ყველა [illegible] ჩიჩინება: ვინც ცელქობს, ონავრობს, — განუწყვეტლივ კისკისებს, ცუდი ბავშვიაო.

— მერე, გჯერა ეგა?

დალი ყოყმანობს, ლამის დაიჯეროს, რომ ცუდი გოგონაა, მაგრამ... უცბად თვალები სიხარულით ენთება და ამბობს:

— არა, მე ცუდი არა ვარ. მე წავიკითხე, რომ თურმე დიდ სტალინსაც ბავშვობის დროს ძალიან ჰყვარებია მრავალნაირი თამაში. როცა სწავლით დაიღლებოდა, შეაგროვებდა სწორებს და ისეთს თამაშს გააჩაღებდა, რომ ყველას თვალი რჩებოდა მასზე.

სტალინს ბავშვობაში ჰყვარებია ცელქობაც, მაგრამ დიდი, დიდი, ყველასათვის საყვარელი, ბედნიერი და საამური ცხოვრების შემოქმედი გამოვიდა. მაშ მე რისთვისღა მიშლიან გიჟმაჟობას?

მართლაც და რას ერჩიან ამ ცუგრუმელას?

სანდრო ქლენჩი

რთველი

ჩაშაქრებულა მტევნები,
ვაზებს სიმწიფით ადნება...
ყველას ხალისი აგვავსებს,
კრეფა რომ გაიმართება,
მარანში სურნელება და
ყურძნის სიუხვე დადგება.

ქვევრებში ტკბილის რაკრაკი
რა დიდებული იქნება,
ყვითელი წვენი ღვარივით
ღარში რომ მიედინება,
მალე ამბოხი მაჭარით
ვიღას არ მოელხინება.

და საწნახელის ბარაქა
გულს გაახარებს სიამით...
რთველობაც ხომ კარზე მოგვადგა
დარით მოსული, მზიანი...
კოლექტიველო ბიჭებო,
კრეფამ არ დაიგვიანოს!

გავშალოთ მწკრივი მხარდამხარ,
ფოთლები ავაშრიალოთ
და ყურძნით სავსე კალათას
სიმღერაც ჩავუწკრიალოთ,
ზოგმა ვკრიფოთ და ზოგმა კი
ურმით მარნისკენ იაროს...

საღამოს ტკბილი ღვარივით
ქვევრში რომ ჩაედინება,
ირგვლივ რაკრაკი ხმიანი
თითქოს სიმღერა იქნება;
რთველობაა მუდამ ჩვენს გულში
და ყველას მოელხინება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი კაჭახიძე

სოფლის ბოლომდე მივყევით
თაიგულებით ყველა...
დაგვემშვიდობნენ, წავიდნენ,
ეტლი დაიძრა ნელა.
წავიდნენ ჯმუხა ბიჭები,
წავიდნენ წითელ ჯარში,
დასჭირდა მათი ძალ-ღონე
ჩვენს დიდ სამშობლო-კავშირს.
იცოცხლონ, გვასახელებენ,
ყველა მხნეა და მარდი,
ხმაშეწყობილი სიმღერა
დიდხანს გვესმოდა მათი.
რა კარგი იყო ის დილა,
მზისგან სხივების ფანტვა,
არ გვასვენებდნენ ფიქრები,
არ გვასვენებდა ნატვრა.
ვამბობდით: „ქვეყნის მცველებად,
ნეტავ, გვიწევდეს წასვლა;
ნეტავ, ჯერ თუ მოერგება
ჩვენს მხრებს შაშხანის თასმა.
ჰე, ბარემ მალე დავკაცდეთ,
ღონე გვემატოს მკლავში,
სამშობლო ქვეყნის მცველებად
წავალთ სიმღერით, ტაშით,
წავალთ და გაგვაცილებენ
ჩვენ ყვავილებით მაშინ!“

ვერა შუბლაძე

რკინისგზის საბავშვო ბალი

კრთის, ცახცახებს ცისკიდური,
ბარს ეკვრება ფიანდაზად,
და მზე, ციდან დაკიდული,
ოქროს სხივებს აფრქვევს ნაზად.
ირხევიან დინჯად ხენი,
დაღვარულა ძირს მანანა
და ფოთლები ტკბილ მოლხენით
ჩურჩულებენ ერთხმად ნანას.
დასრიალებს სიო ნელი,
ხარობს ხალხი და ბუნება,
და მთა, მწვანე ტანსაცმელით,
უჩვეულოდ იღიმება.
ჰა, ბავშვებსაც ჟრიამულით
გაგიმართავთ ცეკვა, ტაში
და სახეზე გეფინებათ
მოლივლივე მზის კაშკაში.
დიად სწავლით გულს იხარებთ,
დანავარდობთ მთებში ლაღად
და შეხარით, ვინც ეს მხარე
დღეს აქცია ნეტარ ბაღად.
მეტისმეტი სიხარულით
აღსავსეა თქვენი გული,
სიცოცხლე ხართ, სიყვარული
და სამშობლოს თაიგული!

ირაკლი აბაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალია

ისე ჯდება, თითქოს მწერთა
იყოს რალაც მბრძანებელი,
ეს წუწკი და უმაძღარი
არის დიდი მავნებელი.

ჩვენს ჯეჯილებს შეესევა,
განა ცხრა და ოციოდე?!
ათასობით შრიალებენ,
თითქოს სეტყვა მოცვიოდეს.

მაგრამ განა პურის ყანებს
კალიების ლუკმად ვთესავთ?
პურს კალიას ვინ დაუთმობს,
ჩვენ მივირთმევთ უკეთესად.

ხარაბუზა

დაიჭირეთ ხარაბუზა,
მოგესმებათ ხმა და ხეხვა;
სად ნახულა ულვაშების
ფეხებამდე გადაგრეხვა?!

მუხის ტყეში ცხოვრობს, მაგრამ
მუხისაგან სახლს არ აგებს,
ისე დახრავს, გამოლეჭავს,
აფუჭებს და აჩანაგებს.

მისი მატლი ზის ღეროში,
ჭამს და როცა დასრულდება,
მიატოვებს დახრულ მუხას,
ხარაბუზად გაფრინდება.

ფუნაგორია

თითქოს ჰქონდეთ შეჯიბრება,
სტადიონზე გადიოდნენ,
ნეხვს ბურთივით მიაგორებს
აგერ ხოჭო ათიოდე.

ნეხვს აგორებს და შავ ბურთებს
მიაგორებს მიწის ხვრელში,
გაჰკრავს ბოლოკიდურებით,
ბურთს არ იღებს იგიც ხელში.

მაისის ღრაჭა

გაზაფხულზე ჩნდება ჩვენში,
აპრილში და უფრო გვიან,
მიტომაა, ამ მავნებელს
რომ „მაისის ხოჭო“ ჰქვია.

ამოძვრება და მცენარეს
შემოაცლის ახალ ფურცლებს,
კიდევ კარგი, ადრე კვდება,
მზის სინათლეს ერთ თვეს უძლებს.

იგი კვდება, მაგრამ მისი
მატლი იწყებს მის საქმესვე,
სამ წელიწადს მიწაშია
და მცენარეს ულრღნის ფესვებს.

დაუნდობლად ვებრძვით ხოჭოს,
ვანადგურებთ მატლის ბუდეს,
ამ საქმეში ცოტა ღვაწლი
თხუნელას და ჩიტსაც უდევს.

(გაგრძელება იქნება)

თამარ გურული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაღგატონი ნელი

1902 წლის ზაფხული იდგა. მზე მწარედ იკბინებოდა.

— მშია, ბაბაია, მშია! — ტირილით ეუბნებოდა 5 წლის ნუცა ოთახში შემოსულ მამას. ოთახი ბნელ სარდაფს უფრო ჰგავდა, ვიდრე საცხოვრებელს. სინესტისაგან დასველებული კედლები და ერთი პატარა ფანჯარა იყო ამ ოთახის ავლადიდება. ფანჯრიდან ყოველთვის მოჩანდა ქუჩაში მიმავალი მგზავრის ფეხები.

— მშია, ბაბაია! — გაიმეორა ნუცამ და მამას ხელებში მიაჩერდა.

— კარგი, ჩემო ბჟლარტო! — ვითომ გაეხუმრა პორფილე შავიშვილი და სახეზე ღიმილის ნაოჭი გადაივლო, თუმცა თვალები ცრემლებით ჰქონდა აკიანთებული.

პორფილე შავიშვილი ნავსადგურში მტვირთავად მუშაობდა, ტანადი და შავგვრემანი, 30 წლის ვაჟკაცი იყო; სამი კვირაა, რაც მუშათა გაფიცვაში მონაწილეობის გამო უმუშევრად დაეხეტებოდა. პორფილეს დღევანდელი დღის იმედი ჰქონდა: იქნებ ორიოდე გროში ვიშოვნო და ცოლშვილს ლუკმა მივუტანოო. ბედმა უმტყუნა. თავის დაიმედება აბა რა ღარიბი კაცის საქმეა, მაგრამ ის მაინც გულს იმაგრებდა. ბევრი იწანწალა, ყველას სთხოვა, მაგრამ ყველგან ცივი უარით ისტუმრებდნენ. ბოლოს, საშველი რომ აღარ დაადგა, გადაწყვიტა ვიმათხოვრებო და ხიდის თავში აიტუზა. გასინჯა ხელის გაშვერა, მაგრამ ძნელი ყოფილა ჯანით სავსე ხელის სამოწყალოდ გაშვერა: ხელი არ დაემორჩილა პორფილეს. დგას პორფილე და შეჰყურებს გამვლელ-გამომვლელს, იქნებ ვინმე მიმიხვდეს გაჭირვებასო, მაგრამ ამაოდ, ყველა სადღაც მიეშურებოდა, ყველას თავისი კუთხე და თავისი დარდი აქვს. ყურადღებაც-კი არავის მიუქცევია „მათხოვრისთვის“. ანდა რა უგავს პორფილეს მათხოვარს, სიამაყით სავსე თვალები სადღაც განუსაზღვრელ სივრცეს მისჩერებია. მკაცრი, მაგრამ ლამაზი სახე აქვს, ჩაცმულიც არ არის ცუდად: ხავერდის ჩაქურა აცვია, თავზე ყაბალახი აქვს წაკრული. იკითხავთ: რატომ არ გაყიდა პორფილემ ტანსაცმელი და პური არ შეიძინაო, მაგრამ მწარე გამოცდილებით იცოდა, რომ თუ შედარებით კარგი ტანსაცმელი არ ექნება, სამუშაოს ვერ იშოვის, იცოდა, რომ კაცი ტანსაცმელით ფასდებოდა და სწორედ ამიტომ გაიჭირვა და ერთი ხელი საგარეო ტანისამოსი შეიძინა.

პორფილე ნავსადგურში მტვირთავად მიიღეს, იქ დაუმეგობრდა მეზღვაურ ანტონ ჩეკრიზოვს, რომელიც მას ხშირად ესაუბრებოდა კაპიტალისტებსა და მუშებზე.

ერთ დღეს ქალაქში საყვირის ხანგრძლივი კივილი გაისმა. მუშები ქუჩებს მოედვნენ. პორფილეც იმათ შორის იყო. გაფიცვა დაპატიმრებით, ცემითა და სისხლის ღვრით გათავდა. ანტონიც დაიჭირეს. პორფილეს-კი აგერ უკვე მესამე დღეა პირში ლუკმა არ ჩაუდვია.

— მშია, ბაბაია! — მათრახივით გადაუჭირა პორფილეს პატარა ნუცამ და ფიქრში წასული მამა გამოაფხიზლა.

— კი, გენაცვალოს ჩემი თავი, ახლა-

ვე მოგიტან,—უთხრა ბავშს, თავშეხვეულ ცოლს მორცხვად აარიდა თვალი და გარეთ გამოვიდა.

ის გენერლის ყვავილნართან გაჩერებულიყო და ორხიდეების წარმტაც სურნელებას იყნოსავდა.

გენერლის სახლის ფანჯრები ღია იყო, ჯერ სინათლე არ აენთოთ. შუა ოთახში ჩაფიქრებული ქალი იდგა. ქალი კი არა, ზღაპრულ ანგელოზსა ჰგავდა.

პორფილე იცნობს ქალბატონ ნელის, იმას ორი მშვენიერი გოგონა ჰყავს, ერთი ნუცას ტოლაა, ვიოლეტა ჰქვია, მან ეკლესიის გალავანში ნუცას დედოფალა შეაჩეჩა ხელში, ქალბატონი ნელი არ გაუჯავრდა მას, პირიქით, თავზე ხელი გადაუსვა და რაღაცა ალერსიანი სიტყვა უთხრა.

მშვენიერი ქმნილება ადგილიდან დაიძრა, როიალთან მივიდა, ყორნის მსგავსი ფრთა ჰაერში ასწია, რგვალ სკამზე ნებიერად დაეშვა და მარმარილოს თითები კლავიშებზე დაარწია.

ქალბატონ ნელის თეთრი კაბა აცვია. ის პეტერბურგში გაზრდილი ქალია, ამჟამად კი მსუქანი გენერლის ცოლი გახლავთ.

ხმა შეწყდა. პორფილე ბურუსიდან გამოერკვა. „ნუცას შია, ნუცას საჭმელი უნდა“—გაუელვა თავში და ბაღში ისკუპა.

კიდევ ერთი წუთი — და ის გენერლის სასადილოში აღმოჩნდა. მაგიდაზე ყველაფერია. რა გინდა სულო და გულო, რომ აქ არ იყოს! ალბათ, სავახშმოდაა გამოტანილი. კუთხეში იატაკზე ფეხმოტეხილი სათამაშო ცხენი გდია.

— ბედნიერები არიან გენერლის შვილები, — გაიფიქრა პორფილემ. — ჩემი ნუცა ხომ ვარდის კოკორივით გადაიფურჩქნებოდა ასეთ სასახლეში.

თავს საჭმლის სუნი უბრუებდა. მიიწია სასადილო მაგიდისაკენ, ხელები აუთრთოლდა. ვიქურდო? ვაი, სირცხვილო! მაგრამ განა ეს ქურდობა იქნება, ნუციკოსათვის რომ ავიღო? იმ ქალბატონს, იმ ანგელოზს რომ ვთხოვო, ნუთუ უარს მეტყვის? ნუთუ არ შეიბრალებს ჩემ მშიერ ცოლშვილს? არა, ის გულკეთილია, ის აუცილებლად დამეხმარება, — და პორფილემ გადაწყვიტა ისევ ფანჯრიდან გადაცურებულიყო, რათა კარებიდან დაეკაკუნებინა და მოწყალება ეთხოვა გულკეთილი ქალბატონისათვის.

უცებ ოთახის კარები გაიღო და ნავსადგურის მუშა პირისპირ შეეჯახა ანგელოზს.

— ვაი! ვაი! — შეჰკივლა ქალმა და გულზე მოიკიდა ხელი.

— ნუ, ნუ იყვირებთ, ნუ დამღუპავთ, მე ქურდი არა ვარ, არ შეგეშინდეთ, თქვენი ჭირიმე! — შეევედრა პორფილე.

— აქ რა გინდათ? — ძლივს წაიჩურჩულა შეშინებულმა ქალმა და სავარძელში ჩაეშვა, თავჩაღუნული პორფილე კი მის პირდაპირ მიეყრდნო კედელს.

ქალბატონმა ძალა მოიკრიბა, სახეზე ღიმილი აუთამაშდა. — ხა — ხა — ხა! — აი, ეს საინტერესო ცხოველია, — ჩაილაპარაკა თავისთვის და ჰკითხა:

— რა გქვიათ?

— პორფილე, — იყო პასუხი.

— მომიყევით, რა გასაჭირი გაქვთ, ან აქ რამ მოგიყვანათ? — დამშვიდებული ხმით თქვა ქალბატონმა ნელიმ და ლორნეტი დაუმიზნა.

— ქალბატონო ნელი, მე სოფელ შუხუთის ღარიბი გლეხი გახლავარ, ქალაქში ბედის საძებნად ვარ ჩამოსული. სოფელში დიდი გაჭირვებაა...

— თქვენ გლეხს არ გევხართ, თქვენ თავადის შეხედულება გაქვთ.

პორფილე შესცქეროდა მშვენიერ



ქალბატონს. „ეს ხომ სიკეთისა და სიმართლის განსახიერებაა“ — ფიქრობდა ის.

— ჰოდა, — განაგრძო პორფილემ, — მე მუშათა გაფიცვაში მივიღე მონაწილეობა, სამუშაოდან დამითხოვეს. მის შემდეგ რამდენიმე კვირამ განვლო, რაც დავწანწალობ, სამუშაოს დავეძებ. ბავშვი შიმშილით მიკვდება?

— გაფიცვა? მაშ ზაბასტოვკა? მაშ თქვენ ბუნტარი ყოფილხართ, იქნებ რევოლუციონერიც?

— არა, ქალბატონო, მე მუშა ვარ, ჩვენ მხოლოდ სამუშაო დღის შემცირებასა და ხელფასის მომატებას ვთხოულობდით. გვიჭირს ცხოვრება, ქალბატონო. განა ყველა თქვენისთანა გულკეთილია. თქენ ხომ ყველას საკმარის ჯამაგირს მისცემდით? თქვენ ყველას შეიბრალებდით, თქვენ ხომ გულკეთილი ბრძანდებით, თქვენ რომ სახელმწიფო, მმართველი იყოთ, მიწაზე ბედნიერება დამყარდებოდა.

— ქალბატონი ნელი დუმდა, ის დაჟინებით ფიქრობდა რაღაცას.

— ჰო, მე და ჩემი ქმარი კეთილები ვართ, — თქვა მან.

პორფილეს სქელი გენერალი წარმოუდგა თვალწინ. — დაიშალეთ! ღრიალებდა ის, — დაიშალეთ, თორემ გესვრით!

პორფილეს გაუკვირდა, რომ იმ მხეცს ეს ანგელოზი კეთილს ეძახდა.

— მე დაგეხმარებით თქვენ, — თქვა უცებ ქალბატონმა ნელიმ. — რამდენი წლისაა თქვენი შვილი?

— ხუთის.

— ჩემი ვიოლეტას ტოლია ყოფილა.

— პორფილე, რომ მიხვიდეთ, თქვენ ბავშვს სახელი გამოუცვალეთ, ია დაარქვით, მაშინ ის ჩემი ბავშვის თანაბარი იქნება.

— ია? — გაიმეორა პორფილემ და გაიფიქრა: — ქალბატონს, ალბათ, ყოველთვის ლამაზი აზრები აქვს თავშიო.

— პორფილე, გეთაყვა, თქვენს უკან ზარია, დააჭირეთ ხელი, უნდა განკარგულება გავცე, რათა ყველაფერი საჭიროებისამებრ მომიმზადონ. მე თქვენ თვითონ წაგყვებით სახლში, მე თქვენი მოქმედება მომწონს, მე თქვენი იდეებიც ვიცი. ძმობა, ერთობა, თავისუფლება, — რა ლამაზი სიტყვებია! იცით, მეც იმის მომხრე ვარ, რომ ყველანი გავთანასწორდეთ. მე დიდი ხანია ვიბრძვი ამისთვის. მე რევოლუციონერი ვარ.

— ოჰ, ქალბატონო, რა მშვენიერი სიტყვაა რევოლუცია! ამ სიტყვას ხშირად ჩემი მეგობარი მეზღვაური ანტონ ჩეკრიზოვი იმეორებს და ისეთი გრძნობითა და თვალთა ბრწყინვალებით, რომ გეგონება მზე მიწაზე ჩამოვიდაო. საბრალო ანტონი! იცით, ქალბატონო, ის ბნელ საკანში ჩააგდეს!

— საბრალო ანტონ! მე ჩემს ქმარს ვეტყვი, მე გავათავისუფლებ თქვენ მეგობარს. დარეკეთ, პორფილე, თორემ გვიანდება, მერე ვეღარ მოვასწრებთ...

პორფილემ ზარს თითი დააჭირა. გაისმა ზარის წკრიალი, ოთახში დენშჩიკი შემოვიდა.

— სადა ხარ, შე არამზადა! — დაუყვირა მას ქალბატონმა ნელიმ. — ხომ იცი, რა დროა, კარგი, რომ გავაბრიყვე და თავისი ხელით დავარეკვინე, თავისი ხელით ამოვათხრევინე სამარე.

დენშჩიკმა რევოლვერი დაუმიზნა პორფილეს, რომელსაც სახეზე მკვდრის ფერი დასდებოდა.

— ქალბატონო ნელი, რას მიშვრებით!

— ხმა გაკმინდე, ავაზაკო! — ცივად მოუჭრა მან. — შენ რომ ზარზე არ ყოფილიყავი მიყრდნობილი, ამდენხანს გავათავებდი შენთან სულელურ საუბარს.

— ჩემს პატარა ნუცას ნუ დამიღუპავთ, შეიბრალეთ! — შეევედრა პორფილე.

ამ დროს დენშჩიკის დასახმარებლად ორი სტრაჟნიკი შემოიჭრა ოთახში და პორფილეს ხელები შეუკრეს.

— ქალბატონო ნელი, ჩემი ნუციკო შეიბრალეთ! — გაიმეორა მან.

— ოჰ, ნუციკო უხეში გლეხური სახელია, მე ხომ გითხარით, ია დაარქვით და მაშინ ის და ჩემი ვიოლეტა თანაბარნი იქნებიან-მეთქი. ხა-ხა-ხა! ვიოლეტა და მუნიანი გლეხის გოგო! — იცინოდა ის. გაჩერდით, მე თქვენთან გავათავე ლაპა-

რაკი ძმობა, ერთობა, თავისუფლებაზე, — ცივად დაასკვნა ნელიმ.

ჩქარა პორფილე ციმბირის გზას გაუყენეს, ხელ-ფეხში ბორკილი გაუყარეს და ცემით მიჰყავდათ უცნობი მხარისაკენ. მიდიოდა პორფილე და ჟღარუნებდა ბორკილი, თვალწინ როიალთან მჯდარი ქალბატონი ნელი ედგა. „ანგელოზი“ — ფიქრობდა ის და როიალის კვნესა ეწვეთებოდა ყურში.

— ხა-ხა-ხა! ძმობა, ერთობა, თავისუფლება! — გაუწივლა ყურში ქალბატონის სიტყვებმა. — გაიძვერა დედაკაცი! — წამოიძახა პორფილემ და ბრაზით მუშტები გაიქნია. გულსაკლავად აჟღარუნდა ბორკილი. ხელი ეტკინა და დადუმდა.

— მართალს ამბობდა ანტონი: მუშა და გლეხი მეფის მსახურებისაგან თავისუფლებას ვერ მიიღებენ, ეს სახელმწიფო უნდა დაიმსხვრეს და მხოლოდ მაშინ აღმოცენდება ბედნიერებაო, — ფიქრობდა კატორღელი. — ვაი, ნუციკო, საჭმელი ვერ მოგიტანე, შვილო. ვინ იცის, ცოცხალი ხარ თუ... — ვეღარ დაამთავრა საშინელი აზრი. თვალებზე ცრემლი მოადგა. უსანდომოდ ააჩხრიალა ბორკილი და სვლა განაგრძო. მის წინ მტვრიანი გზა გველივით იკლაკნებოდა. მიდიოდა კატორღელი, წინ გმინვა და ოხვრა მიუძღოდა, უკან კი მშიერ ნუციკოზე ფიქრი რჩებოდა.

ლიდია მეგრელიძე

აქ შეჩერდნენ, თეთრ ნიშანზე
შეაჩერეს თვალი.
დღეს პირველად ჩამოსულა
ეს პატარა ქალი.
ჩაჰფრენია დედის კალთას,
ატუზვია წინა
— „ციცო, გოგოვ, ამ ზღვამ ასე
როგორ შეგაშინა?
აკი ამბობ, თითქოს გინდა
გახდე კაპიტანი,
დიდ სამშობლოს სდარაჯობდე,
შენს გემს ერქვას „სტალინ“,
ზღვიდან-ზღვამდე დაფრინავდე,
როგორც ნიავქარი...
ახლა?
შენი გულადობა,
გოგოვ, სადღა არი?“
ციცოს უცებ შერცხვა დედის,
ხელი უშვა კალთას
და ზღვას ისე ეპარება,
როგორც ტურა ქათამს;
კვლავ შედგება, კვლავ გახედავს
ლურჯად ნაგვირისტებს,
ლურჯ ატლასზე გადმობნეულს
ციურ მარგალიტებს...
„ჰაუ“ — ისმის ჟრიამული,
კისკისი და „ვაშა“...
აგერ გოგო ტიტლიკანა
მოხტის, მოთამაშებს.
პიონერთა მთელი წყება
მოდის ნელა — ნელა,
სულ ტიტვლები, შავ შარვლებით,
ბრინჯაოს ჰგავს ყველა.
შეესივნენ ზღვის მუქ ნაპირს,
მოჭარხალდა ჭალა,
ზვირთი ფეხებს უჩქაფუნებს:
შა-ლა... შა-ლა... შალა...
ახლა ციცო წათამამდა,
ათამაშებს მკლავებს,
ცელქი სხივი ციცოს თმებში
აბნევს ოქროს კავებს.
— ეს რა ბურთი ამოგორდა,
ცეცხლია თუ მთვარე?!
— გოგოვ, ციცოვ, ეს მზე ჩადის
დასავლეთის მხარეს!

ალ. სულავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი და ბავშვები

აკაკი განუზომელად უყვარდა ყველას, რადგან იგი იყო დიდი ნიჭით დაჯილდოებული პოეტი, ხალხის ცხოვრების მცოდნე, მოწინავე აზრების მქონე. აკაკი თავისი აზრების გამოთქმაში გაბედული პოეტი იყო, ამიტომ უყვარდა იგი ყველას, ვისაც გული შესტკიოდა ქართველი ხალხის ბედზე.

აკაკი უდიდესი წარმატებით სარგებლობდა არა მარტო მოზრდილთა შორის, არამედ ბავშვებს შორისაც. იშვიათია ქართველი პოეტი, რომელიც ისე ჰყვარებოდეთ ბავშვებს, როგორც აკაკი. აკაკი ხშირი სტუმარი იყო ქართველი ოჯახებისა, სადაც მისი სტუმრობა დიდ სიხარულს იწვევდა ბავშვებში. ეს აიხსნება იმით, რომ ბავშვებს უყვარდათ მისი პოეზია. აკაკისაც უყვარდა ბავშვები. მას აქვს ერთი ლექსი ასეთი სათაურით: „მიყვარს საერთოდ ბავშვები". აკაკის სურათებს შორის მრავალი სურათია დარჩენილი, სადაც აკაკი გადაღებულია ბავშვებთან.

აკაკი იზიდავდა და ხიბლავდა ბავშვებს თავისი ტკბილი საუბრებით, მაგრამ, რაც მთავარია, იგი წერდა ბავშვებისათვის შესანიშნავ ლექსებსა და მოთხრობებს. იგი მრავალი წლის განმავლობაში თანამშრომლობდა საბავშვო ჟურნალებში — „ჯეჯილსა" და „ნაკადულში". ამ ჟურნალებში გაბნეულია აკაკის საინტერესო ლექსები, რომლებიც ბავშვებს მეტად უყვართ. მთელი თაობები სწავლობდნენ აკაკის იგავ-არაკებს.

განა ერთი ან ასი ასეთი ძვირფასი საჩუქარი უძღვნა აკაკიმ თავის პატარა მკითხველებს! ჩვენი საბავშვო მწერლობის ძვირფასი საუნჯეა მისი ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა: „ჩემი თავგადასავალი", „ნაცარქექია", „ჩემო ლამაზო ბეკეკა", „წუხელი ჩვენს თხას, დედილო", „პატარა ჩიტი გავზარდე", „ყმაწვილებო, მოგილოცავთ", „ობობამ ქსელი გააბა" და სხვა.

აკაკის საბავშვო ლექსები, სადა და ლამაზი ენით დაწერილი, იზიდავს და ატკბობს ბავშვებს, ერთი წაკითხვით შეიძლება დაიმახსოვროთ აკაკის ლექსი, და ამიტომ იყო, რომ თავისუფლად ვრცელდებოდა აკაკის ლექსები ხალხში.

ერთი ქართველი მწერალი სამართლიანად წერდა: ჩვენში სახელი აკაკი მას შემდეგ გავრცელდა, რაც აკაკი გამოვიდა მწერლობაშიო. აკაკისადმი სიყვარულის ნიშნად ბევრნი თავის შვილებს აკაკის არქმევდნენ. აკაკი თავის ლექსებს არ აწერდა გვარს, არამედ მარტო სახელს, მაგრამ მთელმა საქართველომ იცოდა, თუ ვის ეკუთვნოდა ისინი. ხალხში ვრცელდებოდა არა მარტო მისი ლექსები, არამედ ჭკუამახვილური თქმებიც.

„ერთხელ აკაკი საჩხერიდან თბილისისაკენ მიემგზავრებოდა. ღია ვაგონში იჯდა და ჟურნალს კითხულობდა, ვერ ამჩნევდა, როგორ ეხვია გარს უამრავი ხალხი და სიყვარულით შესცქეროდა. უცებ ქარმა გაიტაცა აკაკის ჰილის ქუდი. ვილაცამ მატარებლის გასაჩერებელ ისარს ჩამოჰკრა ხელი. წუთი — და მატარებელი დადგა. ვაგონებიდან პანტაპუნტით გადმოცვივდნენ მგზავრები ქუდის დასაჭერად. აკაკი შეწუხდა: „რას სჩადიან, დაუძახეთ, თავი დაანებონ იმ ოხერს". დოღიდან დაბრუნებულებში მხოლოდ ერთი იყო ყველაზე ბედნიერი: მას ორივე ხელით მოჰქონდა აკაკის ქუდი.

ასეთი სიყვარულით სარგებლობდა აკაკი სიცოცხლეში. ეს სიყვარული მისადმი მისი სიკვდილის შემდეგაც არ შენელებულა. მომავალ წელს სრულდება აკაკის დაბადების ასი წელი. მთელი ქართველი ხალხი ემზადება საყვარელი პოეტის იუბილესათვის.

თეოდო ჟორდანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაჭვები

ეს ამბავი აფრიკაში მოხდა.

ივნისის სიცხე იდგა. დედამიწა გახურებულიყო და ბუნება შუადღის ძილს მისცემოდა. ზანგები პლანტაციებზე მუშაობდნენ.

საშინელი იყო ჭირვარამით ავსებული მათი ცხოვრება. ზედამხედველები უჯიათად ეპყრობოდნენ, ყოველგვარ შეურაცხყოფას აყენებდნენ. ხშირად უბრალო მიზეზებისათვის პირუტყვსავით სცემდნენ და ბევრი მათგანი ამგვარი მოპყრობის მსხვერპლი ხდებოდა.

მუშაობის დროს ისინი ცდილობდნენ ზედამხედველის შეუმჩნევლად, წყვეტილი სიტყვებით გაეზიარებინათ ერთმანეთისათვის თავისი წუხილი.

შუადღე გადასულიყო. ზედამხედველმა მათ შესვენების უფლება მისცა. ზანგები დასხდნენ ხის ჩრდილში დასასვენებლად.

პატარა ხნის შემდეგ რაღაც არეულობა და ჩოჩქოლი შენიშნეს შორს მომუშავე თანამოძმეთა ჯგუფში, ერთი ზანგი მათკენ გამოიქცა. მას დაგეშილი მზვერავი გამოედევნა...

სირბილით დაქანცული და ყველა მხრიდან გარშემორტყმული ზანგი უღონოდ დაეცა გახურებულ დედამიწაზე.

მიახლოებული ზედამხედველი მრისხანებას აფრქვევდა, სურდა ლუკმალუკმად ექცია მახეში გაბმული მსხვერპლი.

ჩრდილში მყოფი ზანგები წამოდგნენ, ზედამხედველის მუქარას ყურადღება არ მიაქციეს და განსაცდელში მყოფი მოძმის დასაცავად გაეშურნენ. ის სთხოვდა ლმობიერებას და საბრალოდ გაიძახოდა: „გამსრისეთ ჭიაყელასავით, მიწასთან გამასწორეთ, მხოლოდ მითხარით: რისთვის? მე არ გატყუებთ...მე არ შემიძლია მუშაობა“.

— შე ფლიდო, შენა, ლაპარაკსაც რომ ბედავ! — წამოიძახა ბრაზმორეულმა ზედამხედველმა და მსხვერპლისაკენ გაიწია, მაგრამ მიახლოებულმა ზანგებმა ზედამხედველს შოლტი გამოჰგლიჯეს და უწყალოდ დაუწყეს ცემა.

ამგვარი არეულობა შეუმჩნეველი არ დარჩა ზანგთა დანარჩენი ჯგუფებისთვის, ყველა გამოიქცა შემთხვევის ადგილისაკენ. აღელვებულ ზანგებში შურისძიების გრძნობამ იფეთქა და გაერთიანებული ძალით მიიტანეს იერიში ზედამხედველებზე. ზანგებმა იცოდნენ, რომ ამგვარი წინააღმდეგობისათვის სიკვდილით დასჯა ელოდათ. ამიტომ გადაწყვიტეს სოფლებში გაქცეულიყვნენ აჯანყების მოსაწყობად. ეს ყველაფერი სასწრაფოდ გაიგო ადმინისტრაციამ.

გარშემორტყმული ზანგები უთანაბრო ბრძოლაში სწრაფად დამარცხდნენ.

ხანმოკლე გამოძიების შემდეგ ზანგთა ერთ ჯგუფს აჯანყების მოწყობისათვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

ბორკილგაყრილი ზანგები მშვიდად ისმენდნენ საშინელ განაჩენს.

— ზანგებო, თქვენ სიკვდილით დასჯა მოგელით, მაგრამ ჩვენ გავათავისუფლებთ იმას, ვინც ჯალათობას იკისრებს.

ზიზღით გადახედეს ზანგებმა ამ წინადადების მთქმელს და თვალებში ცრემ-

ლები მოერიათ...ერთი მათგანი წინ წამოდგა და თამამად უთხრა.

— როგორ გვიბედავ შენ ამისთანა სიტყვებს, ნუთუ შენ გგონია, რომ რომელიმე ჩვენთაგანი აიღებს ხელს თავის მოძმეზე? მარტო თქვენა ხართ შეჩვეული ამგვარ გამყიდველობას!

მოსამართლე დარცხვენილი იდგა ზანგის ამგვარი პასუხით. ამ უხერხულობიდან ის ერთმა ფერმერმა გამოიყვანა, რომელმაც დარწმუნებით განაცხადა:

— ნუ შეწუხდებით, არ ვსაჭიროებთ თქვენს დახმარებას, მე თვითონ ვიშოვი ჯალათს.

ამ სიტყვების შემდეგ ის მახლობელი ქოხისკენ წავიდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ზანგები ჯალათს მოელოდნენ. შორს გამოჩნდა ფერმერი, რომელსაც მოჰყავდა მათი თანამოძმე ზანგი ნემო. ყველამ ზიზღით შეხედა თავის მოძმეს, რომელიც ჯალათობას კისრულობდა. ნემო თანამოძმეების სახეზე კითხულობდა მისდამი მიმართულ ზიზღსა და შეჩვენებას. მაგრამ ის გაჩუმებული იდგა და ისმენდა ფერმერის საშინელ სიტყვებს:

— ამ არამზადებმა მთავრობის წარმომადგენლებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და აჯანყება მოაწყვეს, რისთვისაც სასამართლომ მათ ჩამოხჩობა გადაუწყვიტა. ნემო, იმედი მაქვს შენ იქნები ერთგული მოსამსახურე და სისრულეში მოიყვან ამ განაჩენს. ამისათვის შენ კარგად დაგასაჩუქრებ, ჩემო ნემო, მაგრამ თუ უარი განაცხადე, იცოდე, შენ თვითონ ჩამოგახჩობთ და შენ ოჯახს ავაწიოკებთ.

ნემომ ნაღვლიანად გადახედა თავის მოძმეებს, მისი პირისახის გამომეტყველება საშინელ სულიერ ბრძოლას ამჟღავნებდა. დიდი ყოყმანის შემდეგ ნემომ რაღაცა გადაწყვიტა და გაბედულად უთხრა ფერმერს: „კარგი, მე შევასრულებ ამ საშინელ დავალებას, მხოლოდ მომეცით ნება პატარა ხნით ქოხში შევიდე“. თანხმობის მიღების შემდეგ ის ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა თავის ქოხს, შიგ შევიდა და კარები მოხურა. მწარე ფიქრები ირეოდნენ მის თავში... გონება ებნეოდა. ის რაღაცას ეძებდა

რამდენიმე ხნის შემდეგ გამოჩნდა ნემო. ნელი ნაბიჯით უახლოვდებოდა საშინელ ადგილს... ხელში ცული ეჭირა. მოესმა ძახილი:

— ზიზღი გამყიდველს და თანამოძმეების ჯალათს!

მაგრამ ის შორს იყო ამ ბრალდებიდან. მათ არ იცოდნენ, კეთილი ნემოს გულში რა ცეცხლი ტრიალებდა. ის მიუახლოვდა შებოჭილ თანამოძმეებს და ამაყად გადახედა მათ. მის სახეზე ღიმილი და მწარე ირონია გაჩნდა. მან ამაყად განაცხადა:

— მე არ მინდა ვიყო და არც მიფიქრია მშრომელი ხალხის ჯალათობა, ჯალათები აქ არიან, — და მან მიუთითა იქ მყოფ მოსამართლეებზე.

ყველა განცვიფრებული იყო ნემოს მოულოდნელი საქციელით.

განთიადისას მზემ გამოააშკარავა ჯალათების საძაგელი საქმე. სახრჩობელაზე უძრავად ეკიდა ზანგების გვამები, ძირს კი ჯალათებისგან აკუწული პატიოსანი ნემოს გვამი ეგდო. მისი დატანჯული სახე ისე გამოიყურებოდა, თითქოს ამბობდა:

— გრცხვენოდეთ, ჯალათებო! ოდესმე აქაც აფრიალდება სისხლისფერი დროშა!

ფასი 50 კაპ.

39 374

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზო თაბუკაშვილი

მიტოს მამა ჯარში მიდის

მიტოს მამა ჯარში მიდის
ჩვენი საზღვრის დასაცველად,
არ მოუშვას მტერი ახლოს,
თუ გამოჩნდა ბრძოლის ველად,

მიტოს თუმცა გული სწყდება,
ტირის მიტო გულის მწველად,
მაგრამ იცის: მისი მამა
ჯარში მიდის საზღვრის მცველად.

მიტო მამას ეუბნება:
„არ მოუშვა მტერი ახლოს
და თუ ვინმე შურიანმა
იქ საზღვარი გადმოლახოს,—
ჩვენი ქვეყნის სიძლიერე
იგემოს და მანაც ნახოს!“

მატარებლის გასვლის დროა,
ელმავალი უკვე ყვირის...
ჯარში მიდის საზღვრის მცველი,
რჩება მარტო სწავლის გმირი.

25 ოქტომბერი

ჩვენო ტკბილო საბჭოეთო,
მოგილოცავ დღეის დღესა:
მეფის ხუნდი დაამსხვრიე,
აღარ ისმის ხალხის კვნესა.

ხალხს რაც ჰქონდა გაჭირვება,
წყალს გაჰყვა და გაილესა,
ნარ-ეკლიან ნიადაგზე
ციტრუსები დაითესა!

მოგილოცავთ ბრწყინვალე დღეს,
სტალინის მზით გასათბობსა,
და ვუსურვებ სხვა ქვეყნებსაც
ამავე მზით განათდესა.

მოგილოცავთ ოცდაორ წელს,
საამაყო ოქტომბერსა,
ხალხის ბედის გამომჭედელს,
თავისუფლების შემქმნელსა!

თბილისის მე-16 სკოლის V-კლ. მოწაფე **მერი გრიგაძე**